სამშპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე სადემონტაჟო შენობის მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს სპეციალისტების მიერ, ვიზუალური დათვალიერების შედეგად, შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე სადემონტაჟო შენობის მიმდებარე ნაგებობების მდგომარეობა მდგრადობაზე.

გამოსაკვლევი უბანი ხასიათდება შემდეგი ტექნიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

- სეისმურობა - 8 ბალი;
- ქარის დატვირთვა – 50 კგ/მ^2;
- თოვლის დატვირთვა – 50 კგ/მ^2.

ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ სადემონტაჟო შენობა Г-სებური ფორმისაა და მდებარეობს თარხნიშვილისა და ხორავას ქუჩების გადაკვეთაზე.

სადემონტაჟო ნაგებობა სამსართულიანია. შენობის ნაწილში განთავსებულია სარდაფი.

ხორავას ქუჩის მხრიდან ზემოხსენებულ შენობას ესაზღვრება 5-სართულიანი შენობა, სარდაფით. შენობებს შორის დაცულია ტემპერატურული ნაკერი, რომლის სიგანე ~15 სმ-ის ტოლია. შენობაზე კონსტრუქციული დაზიანებები არ შეიმჩნევა, ამიტომ დემონტაჟის დროს თუ დაცული იქნება დემონტაჟის პროექტში მითითებული ღონისძიებები, ამით მისი მდგარდობა არ დაირღვევა.

თარხნიშვილის ქუჩის მხრიდან მოსაზღვრე შენობა გადაბმულია სადემონტაჟო შენობასთან, ამიტომ აღნიშნული შენობის დემონტაჟის დაწყებამდე გათვალისწინებული უნდა იქნას მოსაზღვრე შენობის მიმართ ყველა ის ღონისძიება, რომელიც მოცემულია დემონტაჟის პროექტში, აგრეთვე დაცული უნდა იქნას საქართველოში მომქმედი სამშენებლო წესები და ნორმატივები.

დემონტაჟი უნდა მოხდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის ავტორისა და კონსტრუქტორის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“ - 405296116
დირექტორი /ბ. მირიანაშვილი/

ექსპერტი-კონსტრუქტორი /ვ. ციტაიშვილი/

22.11.2012

2621/106-22
20.11.2012

შპს „ემჯიაის“ დირექტორს
ბატონ ვაჟა ლალებაშვილს

ბატონო ვაჟა,

2012 წლის 20 ნოემბრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკი“ არ არის წინააღმდეგი, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდეს იმ შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, რომლებიც აღმართულია სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.15.02.006.011, მისამართი: თბილისი, თარხნიშვილის ქ. #2) იმ პირობით, რომ იმავე ნაკვეთზე გონივრულ ვადაში აშენდება ზემოხსენებულ წერილში აღწერილი შენობა-ნაგებობები.

პატივისცემით,

მარიამ მელვინეთუხუცესი
გენერალური დირექტორის მოადგილე